ნინო აბაკელია

ქრისტიანულ წმინდანთა კულტები დასავლეთ საქართველოში ან კიდევ ერთხელ ჯან დეცეშის შესახებ

ნინო აბაკელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელია.

იგი ინსტიტუტში 1974 წლიდან მუშაობს. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა ზოგადი ეთნოგრაფია და რელიგიის ისტორია „მითი და რიტუალი დასავლეთ საქართველოში“ — ასეთი იყო ნ. აბაკელიას საკანდიდატო დისერტაციის თემა, რომელიც მან 1987 წელს დაიცვა.

ნინოს უყვარს მხატვრობა, სერიოზულადაა გატაცებული მუსიკით.

ქართული ხალხური კალენდარი შეიცავს მრავალ ისეთ ელემენტს ორგვარი ინტერპრეტაციის (წარმართულისა და ქრისტიანულის) საშუალებას რომ იძლევა. წინამდებარე წერილი სწორედ ამის ილუსტრაციას წარმოადგენს.

9 დეკემბერს ძველი სტილით ზემო სვანეთის ზოგიერთ თემსა და ქვემო სვანეთში უქმობდნენ ე. წ. ჯანობ|ჯანაშ დღეს და სადილის წინ ლოცვა-ვედრებას ასრულებდნენ შესაწირავებით.

ჯანაშ||ჯანობ სვანურ დღეობათა კალენდარში სხვა ორ დღესთან ერთად (ჭკდობ და ლიჭშდვარ) ქმნის პერიოდს ახალი წლის დღეობათა ციკლში, რომელსაც ჯენშიერი ეწოდება.

ამგვარად, ახალი წლის დღეობები ჯანობი, ჭკდობ ძველად წარმოადგენდნენ ჯენშიერის სახელით ცნობილი ხანგრძლივი დღესასწაულის დღეებს, რომლებიც საერთო რიტუალით და თაყვანისცემის ერ-

თი და იმავე პერსონაჟებით, კერძოდ, ჟან-ით იყვნენ გაერთიანებულნი.

ჟანაშ დღეს დიასახლისი გამოაცხობდა ყველიან ან უბრალო შესაწირავ კვერებს, რომელსაც სვანურად ლემზირები ეწოდება და მათ ჟანს შეავედრებდა:

„ჟანს დიდება მოგსვლოდეს, ჟანო მადლიანო,
შენი ლოცვა-დიდება ჯერიანი გვიყავ,
მრავალი დღეის დღე კარგ გულზე მოგვასწარი,
როგორც შენს მავედრებელს შენ შეეწიე,
ისე შეგვეწიე ჩვენ,
გენუკვით ამას, დიდების მიმღებო, ჟან“.

ლოცვის შემდეგ, ყველანი სუფრას შემოუსხდებოდნენ და სხვა საჭმელთან ერთად შეწირულ კვერებს შეექცეოდნენ.

გარდა ზოგადად ლოცვისა, ხსენებისა ამ დღეს ჟანს შესთხოვდნენ: შეწევნას.. დღეობის კარგ გულზე მოსწრებას, კაცის სულადობის სიმრავლესა და მშვიდობას, ფეტვის მოსავლის მინიჭებას, ყოველთვის ფეტვისა და აგრეთვე ლოცვის „დაჯვარვას“, თვალისა და გულის სიმხიარულეს, თვალთა სნეულებისაგან განკურნებას, ჭირის აცილებას და სხვ.

ლატალში ეს უქმე განკუთვნილი იყო თვალების ტკივილის საწინააღმდეგოდ. ვისაც ამ დროს თვალები სტკიოდა, თავისი სურვილით ან მკითხავის რჩევით ამ დღეს უსმელ-უჭმელი (სვანურად — მეტმე) რჩებოდა დილიდან მზის ჩასვლამდე. სახლის უფროსი ქალი მიდიოდა ჟან-ის სალოცავში და თან მიჰქონდა კვერის გამოსაცხობად პურისა და ფეტვის ფქვილის ცომი. წამოღებული ჰქონდა აგრეთვე, სანთელი თვალის ტკივილით დაავადებულის სახელზე. სალოცავში ის აცხობდა პურის ცომისა და ფეტვისაგან შესაწირავ კვერებს. ფეტვის კვერებს ავადმყოფის სახელზე აუცილებლად სამ-სამ ცალს, ხოლო დანარჩენებზე რამდენიც მოხვდებოდა. ამ პურებით ხელში და ანთებული სანთლით ის ეევედრებოდა ჟანს, აეშორებინა მისი ოჯახისათვის თვალების ტკივილი და ავადმყოფი მოერჩინა. ხდებოდა იმგვარადაც, რომ ოჯახი სახლში გამომცხვარ პურებს და სანთელს გაატანდა თავისი ოჯახის წევრ ბავშვს, რომელიც სალოცავ ჟან-ის მცველი გვარის წარმომადგენელს მიტანილს შეაწირვინებდა. გასამრჯელოდ მას ბავშვი 2—3 სალოცავ კვერს უტოვებდა, ხოლო დანარჩენი სახლში მიჰქონდა. ოჯახის თითოეული წევრი ფეტვის კვერსა და სალოცავ კვერს შეჭამდა და ამის შემდეგ მეტმეც პირს იხსნიდა.

ზოგან. მაგალითად, ლენჯერში ჟანაშში თვალების ტკივილის საწინააღმდეგო დღესთან ერთად ფეტვის მოსავლიანობის დასაბევებლადაც ითელებოდა. ჯერ კიდევ ფეტვის მოსავლის აღების დროს სა-

უკეთესო ფეტვს გადაარჩევდნენ, დაფქვავდნენ და ჯანაშ დღისათვის შეინახავდნენ. ამ ფქვილს ფეტუა ანუ ჯანაშ გუიზი (ფქვილი) ეწოდებოდა. დღეობა დღეს ამ ფქვილისაგან გამოაცხობდნენ ფეტვის კვერებს (ჭკვდარ), წაიღებდნენ მათ ჯან-ის ეკლესიის ნანგრევებზე სოფელ ქაშვეთში და იქ შესწირავდნენ. სამი ცალი ფეტვის პურით ჯანს ეეედრებოდნენ — თვალის სიმრთელე მოგვეცო. დანარჩენებს ფეტვის მოსავლიანობის სახელზე სწირავდნენ. ის ოჯახი, რომელსაც შინ თვალის ტკივილით დაავადებული ჰყავდა ვინმე, საღამოსაც გამოაცხობდა ფეტვის ფქვილისაგან სალოცავ კვერებს ლემზირებს, რომლებსაც თვითონ ავადმყოფი შესწირავდა ჯანს და შესთხოვდა, თვალების ტკივილისაგან მომარჩინეო. ამ დღეს ეკლესიაში შეწირული რიტუალური პურებიდან ერთ ცალს იქვე ბავშვებს მისცემდნენ, დანარჩენს კი სახლში დააბრუნებდნენ და ოჯახის ყველა წევრს აგემებდნენ.

ამ დღის დანიშნულება (ის რომ იგი ფეტვის მოსავლისადმი და ასევე სნეულების თავიდან ასაცილებლად იყო განკუთვნილი) კარგად ჩანს მესტიური მასალიდან. ჯანაში ითვლებოდა საყოველთაო უქმედ და განკუთვნილი იყო ფეტვის მოსავლისადმი. ოჯახის ერთ-ერთი წევრი ამ დღეს დილიდან საღამომდე უსმელ-უჭმელი იყო (ზოგიერთ თემში ამ დღეს ბავშვების გარდა ყველა თმობდა). საღამოს დიასახლისი გამოიღებდა ფეტვის წმინდა ფქვილს, დაასხამდა წყალს, მოაყრიდა მარილს და მოზელდა. შემდეგ აფუებული ცომით ის ლოცულობდა:

ო, დიდება მოგსელოდეს,
მადლი მოგსელოდეს ჯან ლატალისას!
ჯან ლატალისაო, შენ გეხვეწებით შენი წმინდა ფქვილით,
და შენ გაგვიმარჯვე შენი ლოცვა, ფეტვის მოსავლით გაგვახარე,
დიდება მოგსელოდეს ჯან ლატალისას;
სანამ დღევანდელ დღის თმობას არ
შევწყვეტთ, მანამ ჩვენი ფეტვის მაენე
არაფერი ჰქნა, დიდება მოგსელოდეს ჯან ლატალისას.

ამ ლოცვის შემდეგ, ის ცომს პატარ-პატარა ნაჭრებად დაანაწილებდა, დაურიგებდა ოჯახის წევრებს, რომლებიც მათ მაშინვე შეჭამდნენ. დარჩენილი აფუებული ცომისაგან პურის მცხობელი დიასახლისი (სვანურად — მერბიელი) გამოაცხობდა სულზე ორ ცალ პატარ-პატარა სალოცავ კვერს — ერთს ფეტვის მოსავლისადმი განკუთვნილს და მეორეს — თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ. ფეტვის მოსავლისადმი განკუთვნილი სალოცავი კვერებით ის იმგვარადვე ილოცებოდა, როგორც ზემოთ, ხოლო თვალის ტკივილისადმი განკუთვნილ სალოცავ კვერებზე შემდეგ ლოცვას წარმოსთქვამდა:

დიდება მოგჳსლოდეს ჲჷნს ლატალისას,
შენ გავედრებთ შენ წმინდა ფქვილს,
ჩვენ ოჯახში მყოფ ადამიანს აარიდე შენგან
გაშვებული ჭირი, გააქრე ჩვენს სახლში
მყოფი ადამიანების თვალთა ტკივილი,
ქვემოთ წყალს მიეცი, ზემოთ ქარს:
დიდება მოგჳსლოდეს ჲჷნ ლატალისას.

ლოცვის გათავების შემდეგ ამ სალოცავ კვერებს ყველას ჩამო-ურიგებდნენ.

ქვემო სვანეთში ჲენაში განკუთვნილი იყო მოსავლიანობის დასა-ბევებლად. ამ მიზნით ყოველი მოსახლე ამ დღეს ჲჷნს ევედრებო-და კარგი მოსავალი მაღირსეო და თან მას სამარხვო პურებს (ტაბ-ლებს) სწირავდა.

ამრიგად, ჲენშიერს უქმობენ და განსაკუთრებით ქალები. ხალხში შემონახული გადმოცემების თანახმად, უქმე დაწესებული იყო ფეტ-ვის მოსავლის დასაბევებლად. დღეობისათვის სამზადისი იწყებოდა ჯერ კიდევ შემოდგომის პირზე — ახალი მოსავლის აკრეფის დროს ფეტვის საუკეთესო მარცვლეულს გადაარჩევდნენ, დაფქავდნენ და საგანგებო კიდობანში მოათავსებდნენ. ამ მარაგს ფჷტჷჲ გვიზ, ანუ ჲჷნჲ გვიზ ეწოდებოდა. კიდობანს დიასახლისი პირველად ჲენშიერ დღეს გახსნიდა, წმინდა ფქვილს ამოიღებდა და მისგან შესაწირავებს დაამზადებდა: ჲანობსა და ჰკჷდობს მარტო ფეტვისაგან (ე. ი. სამარხ-ვოს), ხოლო ჰიშდვრობს — ყველში გადაზელილ ფეტვის ტაბლებს (პურებს) — გამოაცხობდა ფეტვის მოსავლიანობისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე სპეციალურ ლიტერატუ-რაში გაკეთდა დასკვნა, რომ ჲენშიერი ფეტვის კულტურასთან იყო დაკავშირებული და ამ მარცვლოვანის კულტს ასახიერებდა. ჲენში-ერში თაყვანისცემის ცენტრალურ ფიგურად ფეტვით მოსახსენებელი და ფეტვის საევედრებელი ჲჷნ-ია. ფეტვი მის წმინდა გვიზს (ფქვილს) შეადგენს, ფეტვის მოსავლის მომცემი ჲანია. ფეტვს ჲჷნ-ი მფარვე-ლობს. ამავე დროს, მას შეუძლია მარცვლოვანს რაიმე მავნე შეჰყა-როს და ამით ხალხს ფეტვის მოსავალი წაუხდინოს. აქედან გამომდი-ნარე, ვ. ბარდაველიძე ვარაუდობდა, რომ ფეტვის მფარველ ღვთა-ებად შეიძლება ჲჷნი ჩაითვალოს.

სადიდებელ-სავედრებლებში ჲჷნი იხსენიება, როგორც „ბატონი“ ანუ „უფალი“ (ჲჷნ ფუსდ), მადლიანი (ჲჷნ მალდიჷნ), ზეამაღლებული (ქიბე ლგჷლათხე) და ჲჷნ-ი ზეცისა (ჲჷნ დეცეშ). ამ ეპითეტების მეც-ნიერული ღირებულება, როგორც ამას ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს, უმ-თავრესად იმით განისაზღვრება, რომ ისინი გარკვეულ ღვთაებათა ზე-

ციურობის მაჩვენებელნი არიან. მეცნიერის აზრით, იუნის მსახურება და თაყვანისცემა სალამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ციური არსება ღამის ბატონი (მთვარე) უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ფეტვის ღვთაება მთავარის ღვთაების სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ვ. ბარდაველიძის მითითებით, ჟუნ (დეცეში), ფეტვის წარმართული ღვთაება, ერთი მხრივ დაკავშირებულია მთვარესთან, ხოლო მეორე მხრივ — იონა წინასწარმეტყველთან. ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას მკვლევარს აძლევს ლატალის თემის სოფელ იენაშისა და ლენჯერის თემის სოფელ ქაშვეთში ნანგრევების სახით შემონახული იოხას სახელობის ეკლესიები (რომელსაც სვანები ჟუნ-ის სალოცავს უწოდებდნენ). მის მიერ მესტიაში ფიქსირებული დღეობა ჟუნაშის ლოცვის ტექსტშიც ლატალის ეკლესიის წმინდანი ჟუნ-ის სახელით (ჟუნ ლატლიშ) მოიხსენიება. აქედან გამომდინარე, ვ. ბარდაველიძის აზრით, სვანებს თავისი რწმენა-წარმოდგენები წარმართული ღვთაების შესახებ იონა წინასწარმეტყველზე გადაუტანიათ და ამ გზით ქრისტიანობას გარკვეული წვლილი შეუტანია ფეტვისა და მთვარის კულტის ჩვენამდე დაცვის საქმეში. რაც შეეხება ღვთაების სახელს ჟუნ-ს, იგი, მკვლევრის აზრით, შეიძლება იონას სვანურ ფორმად ჩაითვალოს, რომელიც ამ წარმართულ ღვთაებას იონასთან დაკავშირების შედეგად გაუჩნდა.

ვ. ბარდაველიძის მიერ სვანეთში დაფიქსირებული და ინტერპრეტირებული ეს უნიკალური მასალა სხვაგვარი გააზრების საშუალებასაც იძლევა. დავიწყოთ თვითონ პერსონაჟის სახელიდან. იგი ლოცვის ფორმულაში ჟუნ ფორმით გვხვდება. დღეობის სახელწოდება ჟუნა-შ-ი//ჟენა-ში//ჟანობი გვაფიქრებინებს, რომ ამ სახელის საწყის, მაწარმოებელ ფორმად ჟან კი არა, არამედ ჟუნ უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, დღესასწაულის სახელწოდება ჟუნაშ — ჟუნა-ს სახელზე განკუთვნილ დღეს აღნიშნავს. ჩვენი აზრით, ჟან ჟანა-ს ხმოვანმოკვეცილი ფორმაა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს სვანურის ტენდენცია შეკვეცოს ბოლო ხმოვანი (ჩვენს შემთხვევაში ეს დასაშვები ჩანს, რამდენადაც ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში არ შემორჩენილა თუ რომელი წმინდანი ან ღვთაება იყო ჟუნ). ამრიგად, ჟუნ შეიძლება მივიჩნიოთ იოტიზებულ, ბოლო ხმოვან შეკვეცილ ანა-ს ფორმად. აქედან გამომდინარე, ჟუნ ლატლიშ — ლატალის ანას ნიშნავს, ხოლო ანა გვიზი — ანას წმინდა ფქვილს.

საინტერესოა, რომ კალენდარული რიცხვი დღეობისა, 9 დეკემბერი ძველი სტილით, ქრისტიანულ ტრადიციაში ითვლება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მართალი ანნასაგან მუცლადღების დღედ. წმიდა ანნა, დედა ყოვლადუბიწო ქალწულ მარიამისა ასული იყო

ბეთლემის მკვიდრი მღვდელმსახურის მატფანისა, ტომით ლევიინელისა. იგი მართალ იოაკიმეზე დააქორწინეს, რომელიც წარმოშობით გალილეადან იყო. ხსენება მართალთა: ანნასი და იოაკიმესი აღინიშნება 9 სექტემბერს (ღვთისმშობლის შობის მეორე დღეს).

მართალი ანნასაგან ღვთისმშობლის მუცლადღებას, ქრისტიანთათვის ამ უდიდეს მოვლენას, მართმადიდებელი ქრისტიანები გამორჩეულად ზეიმობდნენ. ჲან||ჲანჴ-ს დაკავშირება მართალ ანნასთან ბუნებრივი ჩანს არამარტო ფონეტიკური მსგავსების გამო ან კალენდარული ნიშნით, არამედ, მისი, როგორც მკურნალის, ფუნქციითაც. გავიხსენოთ, რომ შუა საუკუნეების მიწურულში დასავლეთში (იგულისხმება დასავლეთის ეკლესია, რომლის საეკლესიო პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება მართლმადიდებლურისაგან) ანნა იოაკიმესაგან განცალკევებულ კულტს იღებს (ეს ფაქტი ხატწერაშიც პოულობს ასახვას). როგორც სხვადასხვა სენისა და, განსაკუთრებით კი ჭირის, მკურნალი. მისი ამგვარი ფუნქცია კარგად ჩანდა ზემოთ მოტანილ სვანურ მასალაშიც.

ამრიგად, სახელი ჲჴნჴ-ს და მისი ფუნქციების ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჲჴნჴშ დღე იყო მართალი ანნასადმი მიძღვნილი დღეობა, რომელიც სვანეთში სპორადული სახით შემორჩენილია.

საქართველოში — ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, მართალი ანნას კულტი და მისდამი მიძღვნილი დღეობა უცხო და უცნაური არ უნდა ყოფილიყო. ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე აღნიშნული წმინდანის კულტის კვალი შეიძლება მიკვლეულ იქნეს ლეჩხუმშიც, საშობაო დღეობათა სერიაში, რომელიც „შობის ბებიის“ სახელითაა ცნობილი. ქრისტეს შობას ლეჩხუმში შემოკლებით შობას უწოდებენ, მის მეორე დღეს — „შობის დედას“ (ქრისტიანული კალენდრით, კრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა), ხოლო შობის მესამე დღეს — „შობის ბებიას“, რომელიც, ჩვენი აზრით, იესო ქრისტეს ბებიას — მართალ ანნას — ეძღვნებოდა. ლეჩხუმში შობის დედა და შობის ბებია უქმე დღეებად ითვლებოდა და მათ განსაკუთრებით ფეხმძიმე ქალები ინახავდნენ.

რაც შეეხება ჲანჴშის დღეს ფეტვის მოსავალზე ზრუნვას, ეს უნდა მომდინარეობდეს სეზონის სპეციფიკიდან, კერძოდ, ზამთრის პერიოდიდან, როცა შესრულებულ ლოცვებსა თუ მაგიურ ქმედებებს შედეგი მომდევნო სეზონში უნდა გამოეღოთ.

აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ რაჭასა და ლეჩხუმში „საბარბალო ტაბლების“ (ლობიანი ან ნიგვზიანი პურების) გამოცხობის ჩვევა ბარბალობაზე, 4 დეკემბერს ძველი სტილით; ჭანტილის ფაფის ხეებზე წასმა ჭანტილობა დღეს — შობის წინა

დღეს, ე. ი. 24 დეკემბერს ძველი სტილით; ფეტვის ფქვილის, როგორც რიტუალური ფქვილის, გამოყენება სხვა სვანურ დღესასწაულებში და ა. შ. ყველაფერი ეს კეთდებოდა მომავალი წლის უხვი მოსავლის დასაბეჭდად.

ამრიგად, მართალი ანნას დღის არსებობა სვანეთში, შობის ბებიის არსებობა ლეჩხუმში შუქს ფენს დღეისათვის უკვე გამქრალი ქრისტიანული კულტების გავრცელებისა და განფენის საკითხს საქართველოში.